მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი (პირველადი ვარიანტი)

შესავალი

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2024 საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2024-2027 წლებისთვის, 2022 წლის და მიმდინარე 2023წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

აბაშის მუნიციპალიტეტი როგორც ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ერთეული შედის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. ჩრდილოეთით ესაზღვრება მარტვილის, აღმოსავლეთით ხონისა და სამტრედიის, სამხრეთით სამტრედიისა და ლანჩხუთის, ხოლო დასავლეთით სენაკის მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო და სარკინიგზო საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალები. უახლოესი საზღვაო ნავსადგური: ქ.ფოთი. ქ.აბაშის ცენტრიდან - 45კმ; უახლოესი აეროპორტი: ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - 30კმ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოედინება მდინარეები რიონი, ცხენისწყალი და აბაშა; მცირე მდინარეებია: ნოღელა, კოვზა და ზანა. მუნიციპალიტეტის სამხრეთ ნაწილში, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიედინება მდინარე რიონი, აბაშისა და სამტრედიის საზღვარზე მიედინება რიონის მარჯვენა შენაკადი მდინარე ცხენისწყალი, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდინარე აბაშა, რომელიც ერთვის ტეხურს.

აბაშის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2023 წლის მდგომარეობით 18.6 ათას კაცია. 322.5 კვადრატულ კილომეტრზე. მუნიციპალიტეტში 16 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი და 15 სოფელი.

მუნიციპალიტეტში წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, მათ შორის მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. ასევე მებოსტნეობა-მებაღეობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მაგისტრალი.

სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლისა მუნიციპალიტეტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ გვიხდება

ნაკლებად ავღწეროთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა და პირდაპირ განვიხილავთ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს.

ბოლო წლების მონაცემები მეტყველებენ, რომ აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ყველაზე დიდი კომპონენტი მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი (7221.8 მლნ ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

2019 წლიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში გადადგმულმა ნაბიჯებმა (საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება დამატებული ღირებულების გადასახადების გარკვეული ნაწილი) მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები. მიუხედავასდ ამისა, მუნიციპალიტეტი საჭიროებს კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებას. მაგალითად 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გომოყოფილიმა სახსრებმა მთლიანი ბიუჯეტის 39 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ აბაშის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე. ეს გარემოება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამოკიდებულს ხდის მოზიდულ სახსრებსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში უმთავრეს რისკ ფაქტორს შეადგენს.

აბაშის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2023 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახელება	**მოსახლეობა**	**ფართობი (კვ. კმ)**
სულ საქართველო	3,736.4	69,700
სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონი	299.3	7,468.2
აბაშის მუნიციპალიტეტი	18.6	322.5
პროცენტი საქართველოსთან	0,005%	0,46%
პროცენტი რეგიონთან	0.07%	4,3%

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2024-2027 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2024-2027 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა აბაშის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების შემოსულობების პროგნოზი

საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზრვა შემდეგნაირად:

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები						
დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
შემოსავლები	**16277.8**	**16411.6**	**10813.2**	**11549.0**	**12393.3**	**13316.3**
გადასახადები	8473.1	9232.1	9978.2	10698.0	11467.3	12309.3
გრანტები	7185.6	6649.5	260.0	270.0	280.0	300.0
მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები						
სხვა შემოსავლები	619.1	530.0	575.0	581.0	646.0	707.0
ხარჯები	**9974.2**	**12964.7**	**10283.5**	**11488.0**	**11858.5**	**12615.0**
შრომის ანაზღაურება	2636.9	3485.8	3731.0	4105.6	4525.3	4974.0
საქონელი და მომსახურება	1662.6	2084.7	1092.2	1388.9	1242.6	1231.0
ძირითადი კაპიტალის მომსახურება		0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	25.4	26.0	27.0	27.0	27.0	
სუბსიდიები	4637.7	5534.2	4504.3	5021.2	5115.3	5458.7
გრანტები		30.0				
სოციალური უზრუნველყოფა	633.5	621.6	775.6	751.3	754.3	757.3
სხვა ხარჯები	378.1	1182.4	153.4	194.0	194.0	194.0
საოპერაციო სალდო	**6303.6**	**3446.9**	**529.7**	**61.0**	**534.8**	**701.3**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**6956.3**	**4325.7**	**572.7**	**209.0**	**682.8**	**964.0**
ზრდა	7055.5	5900.8	824.0	209.0	682.8	964.0
კლება	99.2	1575.1	251.3	0.0	0.0	0.0
მთლიანი სალდო	**-652.7**	**-878.8**	**-43.0**	**-148.0**	**-148.0**	**-262.7**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-704.0**	**-930.8**	**-95.0**	**-200.0**	**-200.0**	**-262.7**
ზრდა	936.9					
კლება	1640.9	930.8	95.0	200.0	200.0	262.7

ვალდებულებების ცვლილება						
ზრდა						
საგარეო						
საშინაო						
კლება	-51.3	-52.0	-52.0	-52.0	-52.0	0.0
საგარეო						
საშინაო	51.3	52.0	52.0	52.0	52.0	0.0
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

2.2 გასული 2022 წლის და მიმდინარე 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება

2022 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 18267.5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 18017.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.0%. მათ შორის:

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 16557.3 ათასი ლარი, ფაქტიურად 16277.8 ათასი ლარით შესრულდა, რაც გეგმის 98% -ია; მათ შორის:

გადასახდელების სახით ქონების გადასახადიდან 2022 წელს მიღებულია 1251.2 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 767.1 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 3.9 ათასი ლარი, უცხოურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 6.8 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 343.4 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი – 1156.4 ათასი ლარი) შედარებით 94.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის. დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 7221.8 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი - 5836.6 ათასი ლარი) შედარებით 1385.2 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

გრანტების სახით მიღებულია 7185.6 ათასი ლარი, მათ შორის: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 7185.6 ათასი ლარი, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 579.4 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 6606.2 ათასი ლარი;

<u>სხვა შემოსავლები</u> 2022 წელს სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 597.8 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 619.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 104%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი – 556.9 ათასი ლარი) შედარებით 62.2 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადათ სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის. მათ შორის:

პროცენტების სახით 2022 წელს მიღებულ იქნა 54.9 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (48.3 ათასი ლარი) შედარებით 6.6 ათასი ლარით მეტია.

რენტის სახით 78.0 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 35.6 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 42.4 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულ იქნა 46.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (45.0 ათასი ლარი) 103.1%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულ იქნა 23.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (23.0 ათასი ლარი) 100.0%-ია. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 23.0 ათასი ლარი.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან 2022 წელს მიღებულია 23.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (22.0 ათასი ლარი) 106%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (28.7.0 ათასი ლარი) შედარებით 5.4 ათასი ლარით ნაკლებია.

მომსახურების გაწევიდან 2022 წელს მთლიანობაში მიღებულია 18.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (17.3 ათასი ლარი) 108.0%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 18.6 ათასი ლარი.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 409.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (397.7 ათასი ლარი) 103.0%-ია და 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (265.5 ათასი ლარი) შედარებით 143.5 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 367.9 ათასი ლარი.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან 2022 წელს მიღებულია 12.2 ათასი ლარი, რომელიც დაგეგმილი არ იყო, შემოსულია შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან – 12.2 ათასი ლარი.

<u>არაფინანსური აქტივების კლებიდან</u> 2022 წელს ჩარიცხულია 99.2 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 12.5 ათასი ლარი, ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 86.7 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების კლების სახით 2022 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 1625.6 ათასი ლარი.

2022 წელს გადასახდელების შესრულების 94%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის (90%) ტოლია, ხოლო თანხობრივად (2021 წელთან შედარებით) დახარჯულია 4092.8 ათასი ლარით მეტი.

აბაშის მუნიციპალიტეტისა დასაქართველოს ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განხილვა						
დასახელება	2022 წელი ფაქტი		2023 წელი გეგმა		2024 წელი პროექტი	
	ათას ლარებში	ერთ სულ მოსახლეზე	ათას ლარებში	ერთ სულ მოსახლეზე	ათას ლარებში	ერთ სულ მოსახლეზე
შრომის ანაზღაურება	2636.9	138.7	3485.8	187.4	3731.0	200.6
სხვა მიმდინარე ხარჯები	7336.7	386.1	8832.0	474.8	6476.1	348.1
კაპიტალური ხარჯები	7107.4	374.0	6599.7	354.8	952.4	51.2
გადასახდელები სულ აბაშა	**17081.0**	**899.0**	**18917.5**	**1017.0**	**11159.5**	**599.9**

გადასახდელები სულ საქართველო	**17,385,900.0**	**471.3**	**19,100,000.0**	**511.1**	**20,700,000.0**	**554.0**
შემოსავლები საკუთარი წყაროდან	9092.2	478.5	9762.1	524.8	10553.2	567.3
გრანტები (ტრანსფერები)	7185.6	378.1	6649.5	357.5	260.0	13.9
სულ აბაშის შემოსავლები	**16277.8**	**856.7**	**16411.6**	**882.3**	**10813.2**	**581.3**
სულ საქართველო	**22,307,000.0**	**604.7**	**24,368,000.0**	**652.1**	**26,225,000.0**	**711.0**

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 4261.9 ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა –7408.2 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა – 388.3 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 1688.1 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა –471.4 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია – 1469.0 ათასი ლარი;
- ✓ განათლება –2198.5 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა - 382.1 ათასი ლარი.

(ათას ლარებში)

აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტორა ფუნქციონალურ ჭრილში		
დასახელება	**2022 წელი**	
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4261.9	23.0%
ეკონომიკური საქმიანობა	7408.2	41.0%
გარემოს დაცვა	388.3	2.0%
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1688.1	9.0%
ჯანმრთელობის დაცვა	471.4	3.0%
დასვენება, კულტურა, რელიგია და სპორტი	1469.0	8.0%
განათლება	2198.5	12.0%
სოციალური დაცვა	382.1	2.0%
სულ ხარჯები (ვალის დაფარვის გამოკლებით)	**18267.5**	**100.0**

2022 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 16791.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (17960.8 ათასი ლარი) 93 %-ია. მათ შორის:

- ❖ ინფრასტრუქტურა - 8474.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (9224.6 ათასი ლარი) 92.0%-ია;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა - 378.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (388.3 ათასი ლარი) 97.0%-ია
- ❖ განათლება - 2122.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (2198.5 ათასი ლარი) 97.0%-ია;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი - 1297.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (1340.7 ათასი ლარი) 97.0%-ია;

❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 791.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (853.5 ათასი ლარი) 93.0%-ია;

❖ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 3727.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (3955.2 ათასი ლარი) 94.0%-ია.

აგრეთვე 2022 წლის განმავლობაში განხორციელდა აბაშის მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური დახმარებები, მათ შორის:

✓ მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვამ შეადგინა 52.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (59.6 ათასი ლარი) 87.0%-ს შეადგენს;

✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (2.0 ათასი ლარი) 50.0%-ს შეადგენს;

✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 210.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (223.2 ათასი ლარი) 94.0%;

✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფა დაგეგმილი იყო 2.0 ათასი ლარით, დაფინანსება არ განხორციელებულა;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 83.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (95.3 ათასი ლარი) 88.0%-ს შეადგენს.

2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის მაჩვენებლები

მუნიციპალიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 18917.3 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2023 წლის 6 თვის მონაცემებით მობილიზებულია 8344.1 ათასი ლარი, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 6 თვეში შეადგინა 4798.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (9232.2ათასი ლარი) 52.0 %-ია;

1. გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 3293.3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (6699.5 ათასი ლარი) 50.0 %-ია, აქედან: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი 0.3 ათასი ლარი (283 ლარი და 25 თეთრი) საკონვერსაციო ოპერაციებისთვის

მიმდინარე გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1199.2 ათ. ლარი; მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი 413.2 ათ. ლარი; სპეციალური ტრანსფერი 500.0 ათ. ლარი, სხვა მიმდინარე გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 286.0 ათ. ლარი

კაპიტალური 2093.8 ათ. ლარი, მათ შორის: სპეციალური ტრანსფერი 312.1 ათ. ლარი; კაპიტალური ტრანსფერი 1506.9 ათ. ლარი; სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტები 274.8 ათ. ლარი.

2. სხვა შემოსავლები საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 262.0 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 251.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 99%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი – 332.5 ათასი ლარი) შედარებით 81.4 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

- პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 10.8 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (29.7 ათასი ლარი) შედარებით 18.9 ათასი ლარით ნაკლები.
- რენტის სახით მობილიზებულია 33.7 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (40.4 ათასი ლარი) შედარებით 6.7 ათასი ლარით ნაკლებია.
- ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 19.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (25.0 ათასი ლარი) 79.0%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 10.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (13.0 ათასი ლარი) 79.0%-ია. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 9.4 ათასი

ლარი, რაც გეგმის (12.0 ათასი ლარი) 79.0%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (9.0 ათასი ლარი) შედარებით 0.4 ათასი ლარით მეტია.

- მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 21.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (8.0 ათასი ლარი) 264.0%-ია.
- სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 161.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (189.0 ათასი ლარი 85.0%-ია და 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (235.0 ათასი ლარი) შედარებით 73.7 ათასი ლარით ნაკლებია.
- ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 5.3 ათასი ლარი, რომელიც დაგეგმილი არ იყო, შემოსულია შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან – 5.3 ათასი ლარი.

3. <u>არაფინანსური აქტივების კლებიდან</u> მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 65.1 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 65.1 ათასი ლარი.

2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 936.9ათასი ლარი, ხოლო 6 თვეში ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 797.7 ათასი ლარი.

აბაშის ბიუჯეტის 2021–2023 წლის შემოსულობების შესახებ (ათას ლარებში)			
	2021 წლის 6 თვე	**2022 წლის 6 თვე**	**2023 წლის 6 თვე**
გადასახადები	**3362.9**	**4041.4**	**4798.6**
ქონების გადასახადი	695.3	752.7	945.4
სხვა გადასახადები	2667.6	3288.7	3853.2
გრანტები	**2242.6**	**2520.6**	**3293.3**
სხვა შემოსავლები	**374.7**	**332.5**	**252.1**
შემოსავლები საკუთრებიდან	52.3	70.2	44.5
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	28.1	26.5	40.8
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	166.4	235.2	161.5
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	127.9	0.6	5.3
არაფინანსური აქტივების კლება	**8.0**	**84.6**	**69.4**
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან			

შემოსულობა არაწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	8.0	84.6	65.1
ფინანსური აქტივების კლება	**1138.8**	**1640.9**	**937.0**
სულ შემოსულობების ჯამი	**7127.0**	**8620.0**	**9350.4**

2023 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 6 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა 8057.2 ათასი ლარი (წლიური გეგმის 11675.3 ათასი ლარის 69 %-ი). მათ შორის:

ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსებულია 2641.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 5096.3 ათასი ლარის 52.0%), მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსებულია 1330.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2331.4 ათასი ლარის 57.0%)

ბინათმშენებლობა დაფინანსებულია 189.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 687.7 ათასი ლარის 28.0%)

გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსებულია 105.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 107.0 ათასი ლარის 99.0%)

სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა, რეაბილიტაცია დაფინანსება არ განხორციელებულა, დაგეგმილი იყო 401.4 ათასი ლარით

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსებულია 119.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 374.8 ათასი ლარის 32.0%)

მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 792.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 878.6 ათასი ლარის 90.0%)

ტურიზმის განვითარება დაფინანსებულია 15.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 15.0 ათასი ლარი 100.0%)

საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა დაფინანსებულია 88.9ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 300.4 ათასი ლარის 30.0%)

დასუფთავება და გარემოს დაცვა დაფინანსებულია 215.8 ათასი ლარის (გეგმიური მაჩვენებლის 264.0 ათასი ლარის 82.0%), მათ შორის:

ქალაქის დასუფთავება დაფინანსებულია 215.8 ათასი ლარის (გეგმიური მაჩვენებლის 264.0 ათასი ლარის 82.0%)

განათლება დაფინანსებულია 1393.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1563.0 ათასი ლარის 89.0%) მათ შორის:

სკოლამდელი განათლება ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების გეგმა 1237.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 1104.5 ათასი ლარით რაც გეგმის 89.0%-ია

საჯარო სკოლები დაფინანსებულია 289.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 325.8 ათასი ლარის 89.0%)

კულტურა, ახალგაზრდობა, რელიგია და სპორტი დაფინანსებულია 773.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 895.2 ათასი ლარის 85.0%) მათ შორის

სპორტის სფეროს განვითარება დაფინანსებულია 393.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 433.5 ათასი ლარის 91.0%)

კულტურის სფეროს განვითარება დაფინანსებულია 380.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 452.2 ათასი ლარის 84.0%

ახალგაზრდობის მხარდაჭერა დაგეგმილი იყო 9.5 ათ. ლარით, დაფინანსება არ განხორციელებულა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 756.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 837.4 ათასი ლარის 90.0%) მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსებულია 78.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 98.2 ათასი ლარის 79.0%)

მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონალური მომსახურება და ამბულატორიების მშენებლობა დაფინანსებულია 119.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 131.7 ათასი ლარის 91.0%)

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 558.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 607.5 ათასი ლარის 92.0%)

აბაშის მუნიციპალიტეტის 2021-2023 წლების ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტორა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში)						
დასახელება	**2021 წელი**		**2022 წელი**		**2023 წელი**	
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1323.0	23.3	1775.0		2312.1	
ეკონომიკური საქმიანობა	1275.3	22.5	2084.7		1465.1	
გარემოს დაცვა	148.3		170.4		215.8	
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1276.6		692.5		1176.4	
ჯანმრთელობის დაცვა	188.8		186.6		197.8	
დასვენება და კულტურა	439.1		580.0		773.6	
განათლება	775.4		954.7		1393.7	
სოციალური დაცვა	236.9		243.3		558.2	
სულ ხარჯები	**5663.4**		**6687.3**		**8092.7**	

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

თვითმმართველი ერთეული აბაშის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2024-2027 წლებში აბაშის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებები ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო

ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ეკონომიკის განვითარებას. განათლება, ახალგაზრდობა და სპორტი, განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს. როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთის ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადსხავა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2023 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, სამოქალაქო საბჭოსთან გაიმართა შეხვედრები. მუშავდება 2024 – 2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, სადაც ჩამოყალიბდება მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთება ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ინფრასტრუქტურა;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები;

2024-2027 წლებში ასიგნებების ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით					
პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**5113.1**	**5670.0**	**5937.2**	**6406.5**
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	**1781.4**	**1284.0**	**1868.0**	**2198.0**
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	**362.8**	**400.0**	**420.0**	**450.0**
04 00	განათლება	**1663.4**	**1955.5**	**1955.5**	**2079.0**
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	**1289.5**	**1504.5**	**1474.5**	**1504.5**
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	**949.3**	**935.0**	**938.1**	**941.0**
სულ ჯამი		***11159.5***	***11749.0***	***12593.3***	***13579.0***

ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება,

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება, როგორც მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და

სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.